

## მაწარმოებელთა აღრევის ერთი შემთხვევის შესახებ

ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში, და საერთოდ ყველა ავტორთან, წარმომავლობის (სადაურობის) სახელთა წარმოქმნის თვალსაზრისით, აზრთა აბსოლუტური თანხვედრაა. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი თითქოსდა გარკვეული და ნათელია, ძალზე ხშირად გვხვდება ამ მაწარმოებელთა (-ელ და -ურ) აღრევის შემთხვევები.

სადაურობის სახელთა საწარმოებლად გამოიყენება ორი ბოლოსართი: -ელ (ამჟამად ეს სუფიქსი მიმდევრობასაც აღნიშნავს: ფეხბურთელი, პარტიელი...) და -ურ (დისიმილირებული სახით -ულ). ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავებით ინდოევროპული ენებისა, ვინ ჯგუფს მხოლოდ ადამიანები მიეკუთვნება, რომელთაც -ელ სუფიქსი დაერთვის, ხოლო ყველა სხვა რა ჯგუფს (სულიერსა თუ უსულოს) -ურ ბოლოსართი მიერთვის და სადაურობის სახელს აწარმოებს.

დავასახელოთ სინტაგმები, რომელთა უეჭველობა უდავოა:

*„ჩემს თავს უფლებას ვაძლევ... მადლობა გადავუხადო იმისათვის, რაც ... ქართველი ერისათვის გაუკეთებია“ (ყურნ. „რეიტინგი“); „...ეს... გვლუპავს ქართველ ერს“ (ყურნ. „გზა“); „მე დავანახე ქართველ ხალხს, როგორ უნდა გვეზრძოლა“ (ყურნ. „თბილისელები“); პროგრამა ქართველმა ხალხმა მოიწონა“ (ყურნ. „სარკე“); „ამ წლის იანვარში... ქართველმა ბავშვებმა დალაშქრეს ...ეკვიპტე...“ (იქვე); „...ეს ქართველი მშობლების დამსახურებაა...“ (იქვე); „ვერსად ნახავთ ქართველი კომენტატორების კრიტიკას“ (ყურნ. „რეიტინგი“); „ეს ქართველი ჟურნალისტების პრობლემა“ (იქვე); „ქართველი ექიმების უიმედო დასკვნის შესახებ არაფერი ვიცოდი...“ (იქვე); „თქვენს ქართველ კოლეგებს რა რეაქცია ჰქონდათ?“ (ყურნ. სარკე)... „შესაძლოა, მანამდე სხვადასხვა ევროპელ მოგზაურებს მან ... დაუმალო ეს ტექსტები...“ (გაზ. „იდუმალების სამყაროში“); „რუმინელი მინისტრის ინიციატივამ ქვეყნის საკვების მწარმოებელთა კავშირი შეაშფოთა“ (ყურნ. „თბილისელები“); „კიდევ ერთი ბათუმელი ჯაზის მომღერალი გამოჩნდა.“ (ყურნ. „სარკე“); „ბრაზილიელი ფორვარდი პატარა*

ასაკიდანვე „მილანის“ გულშემატკივარი იყო“ (იქვე); „**ფრანცისკელი ბერი** ... ბასკერვილი და ... ადსო ... მკვლელობას იძიებენ...“ (ჟურნ. „რეიტინგი“); „...უნგრული გაზეთის რედაქტორი გახდა, რომლის ფულსაც **ფრანცისკანელი ბერები** იხდიდნენ“ (გაზ. „TV პროგრამა“); „**ლათინოამერიკელი ჯუჯები** ანდების მთებიდან ... არიან...“ (ჟურნ. „რეიტინგი“); „უფო ჩავესი ყველაზე ცნობილი ...**ამერიკელი ტელეწამყვანია**“ (ჟურნ. „თბილისელები“); „ვანესა ...**ამერიკელი მომღერალია**...“ (ჟურნ. „გზა“); „კონკურენცია ...**ამერიკელ მოდელებს** შორის მაღალია...“ (იქვე)...

ამკარაა, რომ **ხალხი, ბავშვები, მშობლები, კომენტატორები, ჟურნალისტები, მოგზაურები, მიწისტრი, ფორვარდი, ტელეწამყვანი, მომღერალი, მოდელი, კოლეგა\*** ვინ, ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება და -ელ სართი მართებულადაა გამოყენებული.

მანამ საკითხის სხვა კუთხით განხილვას შევუდგებოდეთ, გვინდა დავიმოწმოთ პროფესორ გიორგი შალამბერიძის მოკლე სტატია „ქართველი საზოგადოებრიობა“ თუ „ქართული საზოგადოებრიობა“? წიგნიდან „მეტყველების კულტურის საკითხები.“

„საზოგადოებრიობა კრებითი სახელია, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილე ადამიანთა ერთობლიობა [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI]. რაკი ადამიანთა ერთობლიობა ამ სიტყვის მნიშვნელობის ძირითადი აზრი, მსაზღვრელად ადამიანის სადაურობის (თუ ეროვნების) გამო-მხატველი სიტყვა უნდა დავურთოთ, მაშასადამე, უნდა ვთქვათ და ვწეროთ: ქართველი (და არა ქართული) სტუდენტობა, ახალგაზრდობა, ინტელიგენცია. იგივე ითქმის მსაზღვრელად გამოყენებულ სხვა სიტყვებზეც: რუსი უკრაინელი, სომეხი...) საზოგადოებრიობა, სტუდენტობა, ახალგაზრდობა, ინტელიგენცია...“ [შალამბერიძე 1998: 177].

სტატია ძალზე მოკლეა, საკითხი ლაკონურად, მაგრამ ნათლა-დაა გაშუქებული. დავასახელებთ რამდენიმე მართებულ მაგალითს:

„მათ კარგად იციან, **ქართველი საზოგადოება** რას წარმოადგენს...“ (ჟურნ. „სარკე“); „**ქართველი საზოგადოება** კვლავ დასავლური ორი-

---

\* არც აქ და არც ქვემოთ შეგნებულად არ გავმიჯნეთ მრავლობითი და მხოლოდობითი რიცხვის გამომხატველ საზღვრულებთან დაწყვილებული მსაზღვრელები, რადგანაც ქართული ენისათვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ენტაციის რჩება“ (იქვე); „**ქართველი საზოგადოება** რუსეთს მტრად მიიჩნევს.“ (იქვე); „ადვილად შემოდის **ევროპელი საზოგადოება** კონტაქტში? (იქვე); „გვინდოდა საქართველო გაეცნო **ევროპელ საზოგადოებას** ჩვენი ფასეულობებით.“ (იქვე); „მისი მეორე ქმარი **ამერიკელი საზოგადოებისათვის** ცნობილი პიროვნება ... იყო...“ (იქვე); „...**რუსი საზოგადოება** აუცილებლად უნდა დაფიქრდეს...“ (იქვე); „**ქართველ მოსახლეობას** ხმა არ მიუცია...“ (იქვე); „...დღეს **ამერიკელი მოსახლეობის** დიდი ნაწილი მსუქანია...“ (ყურნ. „თბილისელები“)...

როგორც განმარტებიდან და მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საზოგადოება (საზოგადოებრიობა) კრებითი სახელია ვინ ჯგუფისა.

ასევე კრებითი სახელია **მოსახლეობა** (რაიმე ადგილის / ქვეყნის, ქალაქისა და მისთ. / **მცხოვრებნი, მცხოვრებთა ერთობლიობა**) [ქეგელი 1986].

დავუმატოთ კიდევ რამდენიმე სიტყვის განმარტება:

**ახალგაზრდობა** – 1. ახალგაზრდად ყოფნა, – სიჭაბუკე; 2. კრებ. **ახალგაზრდები, ახალი თაობა** [იქვე].

**სტუდენტობა** – 1. სტუდენტის მდგომარეობა, სტუდენტად ყოფნა. 2. კრებ. **სტუდენტები**... [იქვე].

**გლეხკაცობა** – იგივეა, რაც **გლეხობა**, ეს უკანასკნელი კი 1. გლეხად ყოფნა. 2. კრებ. **გლეხები** [იქვე].

ყველა ჩვენთვის საინტერესო სიტყვა (ხაზგასმა ჩვენია) ნაწარმოებია აბსტრაქტული სახელის **-ობა** მაწარმოებლის მეშვეობით, ხოლო გამოკვეთილი მნიშვნელობები სულიერთა, კერძოდ, ვინ ჯგუფს მიეკუთვნება. აქვე გავიხსენოთ რამდენიმე გრამატიკული კატეგორიის განმარტება.

**აბსტრაქტული** სახელია, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. მას წარმოვადგენთ განყენებულად აბსტრაქციაში. **-ობა** განყენებულ სახელებს აწარმოებს არსებით სახელთაგან [შანიძე 1973: 130]. აბსტრაქტული სახელი ლექსიკური მნიშვნელობით მრავალფეროვანია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში **-ობა** ბოლოსართის საშუალებით მიღებული სახელებია ჩვენთვის საინტერესო.

აღსანიშნავია, რომ ამავე მაწარმოებლით მიღებული სახელები კრებითი სახელებიცაა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, **-ობა** მაწარმოებლიანი სახელები ხან (ძირითადად) აბსტრაქტულ სახელებს გამოხატავს, ხანაც (ცალკეული გამონაკლისები) – კრებითს, შეიძლება კონკრეტული მნიშვნელობა მოიპოვოს [შანიძე 1973: 130]. განვმარტოთ კრებითი სახელიც:

**კრებითი** სახელი აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, რომელიც ერთი მთლიანობაა, წარმოდგენილი მხოლოდობითის ფორმით. კრებითია სახელი, რომელიც აღნიშნავს ადამიანთა, ცხოველთა ან ფრინველთა კრებულს [შანიძე 1953: 39].

საინტერესოა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ამ სახელთაგან, ერთ შემთხვევაში, აბსტრაქტულია და მეორეში – კრებითი. მაგალითად: **სტუდენტობა** ყველასათვის ტკბილად მოსაგონარი დროა; **პოეტმა ახალგაზრდობა** სოფელში გაატარა; **კარგი ნათესაობა** მაქვს გარე ბიძაშვილებთან...

გამოყოფილი სახელები აბსტრაქტულია. ხოლო შემდეგი: **სტუდენტობამ** თავი გამოიღო ქართული ენის გადასარჩენად; **ახალგაზრდობამ** სისხლი გაიღო სამშობლოს ტერიტორიის დასაცავად; მთელი **ნათესაობა** შეიკრიბა გივის უცხოეთში გასაცილებლად... უცილობლად კონკრეტულია. მოვიყვანოთ ორიოდ მართებული მაგალითი:

**მოსახლეობა:** „ქართველ მოსახლეობას ხმა არ მიუცია... (ყურნ. „სარკე“).

**ახალგაზრდობა:** „ქართველი ახალგაზრდობა მიხვდა...“ (ყურნ. „რეიტინგი“).

უნდა აღინიშნოს, რომ, არცთუ იშვიათად, აბსტრაქტული და კრებითი (სულიერი) სახელები გათანაბრებულია, გაიგივებულია და სადაურობის სახელთა წარმოებისას მათი სუფიქსებიც ერთმანეთში უმართებულოდაა ჩანაცვლებული.

მსგავსი რიგის კრებითი სახელები სულიერთა რიგს რომ მიეკუთვნება, ზემოთ დასახელებული განმარტებებიდან უდავოდ ჩანს. მიუხედავად ამისა, ძალზე ხშირად, ზეპირ თუ წერით მეტყველებაში, ვინ გუფის სახელებს, რომელთაც **-ობა** აბსტრაქტული სახელის მაწარმოებელი მოუდით, სინტაგმებში რა ჯგუფის სუფიქსებიან მსაზღვრელებთან აკავშირებენ.

„...როგორც **ქართული საზოგადოების** უდიდესი ნაწილისათვის, ჩემთვისაც ფეხბურთი ნომერ პირველი სახეობა იყო...“ (ყურნ. „რეიტინგი“); „დღეს **ქართული საზოგადოება** ვირტუალურ ცხოვრებასაა მიცემული“ (ყურნ. „სარკე“); „...**ქართული საზოგადოება** ძალიან უკვირდება ყველა ჩვენს მოქმედებას“ (ყურნ. „რეიტინგი“); „ძნელია ყურება, როგორ აწიოკებენ **ქართულ საზოგადოებას**“ (ყურნ. „სარკე“); „იმდენი რამ მოხდა **ებრაული საზოგადოების** ცხოვრებაში... რომ შეუძლებელი იყო წმინდა იოანე ნათლისმცემელი არ გამოხმაურებო-

და...“ (იქვე); „იყო იმის საშიშროებაც, რომ **ებრაული საზოგადოების** რაღაც ნაწილს იოანე ნათლისმცემელი...ღმერთად გამოეცხადებინა“ (იქვე); „გათხრებითაც ჩანს, რომ დიღმის კარისაკენ **ქართული მოსახლეობა იყო**“ (ჟურნ. „თბილისელები“); „...მიიღეთ გარანტია, რომ **ქართულ მოსახლეობას ...** სოფელ აძვის ეკლესიაში შეუშვებენ?“ (ჟურნ. „სარკე“); „საფრთხე ემუქრებოდათ იქ მცხოვრებ **თურქულ მოსახლეობას**“ (იქვე); „ასეთი რამ, საუბედუროდ, **ქართულ გლეხკაცობას** არ გააჩნდა“ (იქვე).

ბუნებრივია, რომ **ქართული/ებრაული საზოგადოება; ქართული/თურქული მოსახლეობა, ქართული გლეხკაცობა** ადამიანთა კრებულს, ერთობლიობას წარმოადგენს, მიეკუთვნება ვინ ჯგუფს და ამ სინტაგმებში არაადამიანთა აღმნიშვნელი მაწარმოებლით წარმოქმნილი მსაზღვრელის გამოყენება ყოვლად უმართებულოა.

გასაკვირია, რომ ზოგჯერ არათუ ერთსა და იმავე ორგანოში, ერთი და იგივე ავტორი ერთ სტატიამდე კი ერთსა და იმავე საზღვრულთან ორივე ფორმას ხმარობს – მართებულსაც და არასწორსაც:

*„ქართველ საზოგადოებას დავანახებთ, რა არის რეალური დამოუკიდებლობა“ და იქვე: „...დასავლური სამყარო მოითხოვს, რისი სურვილიც **ქართულ საზოგადოებას** აქვს.“; „ქართველი საზოგადოება რუსეთს მტრად მიიჩნევს“ და იქვე: „ეს კი იმით არის განპირობებული, რომ **ქართული საზოგადოების** უდიდეს ნაწილს რუსეთი... ბოროტების წყაროდ მიაჩნია“; „...შეინარჩუნოს და განავითაროს ის, რასაც **ქართველი საზოგადოება** ქვეყნის მიღწევად მიიჩნევს“ და იქვე: „მისი აზრით, დროა, **ქართულმა საზოგადოებამ** გაითავისოს...“ (ჟურნ. „სარკე“)..*

კიდევ რამდენიმე კრებითი სახელის მნიშვნელობა გავიხსენოთ:

**ჯარი** – 1. შეიარაღებული და საბრძოლველად მომზადებული ადამიანების ერთობლიობა; 2. იგივეა, რაც არმია; 3. (საუბრ.) ერთად თავმოყრილი ხალხი, ხალხის დიდი შეკრებილობა; 4. (ძვ.) დღეობასა ან ხატობაში დროს გასატარებლად **შეგროვილი ხალხი** [ქეგლი 1986].

**ოჯახი** – ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფი (ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები) [იქვე].

**მრევლი** – უდაბლესი საეკლ.-ადმინისტრ. ერთეული, რ-საც ჰყავს კრებული (მღვდელი, დიაკონი, მეფსალმუნე, მწე); **მორწმუნეთა თემობა**... [გელოვანი 1990].

ყველა დასახელებული სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა (ჩვენთვის საინტერესო, ხაზგასმულია) კვლავ კრებითი სახელებია, და თანაც, ვინ ჯგუფისა, ანუ საჭიროებდა **-ელ** ბოლოსართს. კვლავ ორიოდ მართებულ მაგალითს შემოგთავაზებთ:

**ჯარი:** „...მუსოლინიმ ... უძლიერესი დარტყმა მიიღო... – **იტალიელი ჯარების** ტუნისში კაპიტულაცია.“ (ჭურნ. „რეიტინგი“).

**ოჯახი:** „...აჯანყების შემდეგ ჩამოასახლეს საქართველოში, ისევე როგორც არაერთი **პოლონელი ოჯახი**“ (ჭურნ. „სარკე“); „...მალე ქართულ კულტურას ისე ეზიარნენ, რომ ნამდვილ **ქართველ ოჯახებად** იქცნენ“ (იქვე).

გასაოცარია, მაგრამ დარღვევები ამ რიგის სახელებთანაც გვხვდება:

„**ციმბირულ ხალხში**, კერძოდ, ხანტებში, ზღაპრები გასულ საუკუნეებშიც იქმნებოდა“ (ჭურნ. „თბილისელები“); „იგი სათავეში ჩაუდგა **ემიგრანტულ მრევლს**“ (ჭურნ. „სარკე“); „კვიპროსის თურქულ ნაწილზე ორმოცათასიანი **თურქული ჯარი** დგას...“ (იქვე)...

აშკარაა, რომ აქაც დარღვევაა მაწარმოებლის გამოყენებისას. სხვა თუ არაფერი, სრული შეუსაბამობაა ხალხთან, მრევლთან **-ულ** მაწარმოებლიანი მსაზღვრელის (ზედსართავი სახელის) გამოყენება.

მსგავს ვითარებას ვაწყდებით **-ცია** ბოლოსართით დაბოლოებულ უცხოურ სახელებთანაც. განურჩევლად ამ სიტყვების შინაარსის გარკვევისა და გაანალიზებისა, რატომღაც ყველას **რა** ჯგუფს მიაკუთვნებენ.

**-ცია-** სუფიქსით დაბოლოებული უცხოური სახელები სულ 579 ერთეულია [აბულაძე 1967]. აბსოლუტური უმრავლესობა აბსტრაქტულ სახელებს წარმოადგენს (აპრობაცია, ასიმილაცია, აფრიკატიზაცია, გრადაცია, დეგრადაცია, დისიმილაცია, იმპროვიზაცია, ინკუბაცია, ირიგაცია, ლაბიალიზაცია, ლიკვიდაცია, კვალიფიკაცია, კონსოლიდაცია, ნავიგაცია, რეკომენდაცია...), 27 – კონკრეტულია (ანოტაცია, დისერტაცია, ილუსტრაცია, პუბლიკაცია, რედაქცია...), 7 კი – კრებითი, ვინ ჯგუფის კუთვნილება (ადმინისტრაცია, დეპუტაცია, დირექცია, ინტელიგენცია, მილიცია, ნაცია, პოლიცია).

საინტერესოა, რომ ვინ ჯგუფის **-ცია-**ზე დაბოლოებული სახელებიც აბსტრაქტულ სახელთა რიგშია მოაზრებული. ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად ჯერ ამ სიტყვათა განმარტებები მოვიშველიოთ:

**ინტელიგენცია** – (სოციალური ფენა, რომელიც შედგება გონებრივი შრომის **მუშაკებისაგან**. იმ **პირთაგან**, რომელთაც აქვთ ცოდნა მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში [ჭაბაშვილი 1986]. იდენტური განმარტება გვაქვს უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც [ქეგლი 1986].

**დელეგაცია** – **დელეგატების ჯგუფი** [ჭაბაშვილი 1986]. უფრო ვრცელი განმარტებაა მოცემული უცხო სიტყვათა ლექსიკონში: **დელეგატების ჯგუფი**, რომელიც წარმოდგენილია რომელიმე ორგანიზაციისა, დაწესებულებისა, სახელმწიფოსი და სხვ. [იქვე].

ისევ რამდენიმე მართებული მაგალითით შემოვიფარგლოთ:

„მახსოვს, ერთხელ **უცხოელი დელეგაცია იყო ჩამოსული**“ (ქურნ. „სარკე“); ჩამოვიდნენ **დელეგაციები**, რომლებსაც ...თეატრში გამართულ საზეიმო საღამოში უნდა **მიეღო მონაწილეობა**“ (ქურნ. „თბილისელები“).

მეორე მაგალითიდან (თუმცა განმარტებიდანაც აშკარა იყო) ჩანს, რომ დელეგაცია სულიერი არსებითი სახელია, წარმოადგენს ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს, რომელიც ღონისძიებაში მონაწილეობს.

ბუნებრივია, **დელეგაცია, ინტელიგენცია** (ისევე, როგორც **ახალგაზრდობა, მოსახლეობა, მრევლი, საზოგადოება, სტუდენტობა, ჯარი**, ჩვენთვის საინტერესო განმარტებებზე დაყრდნობით) ადამიანებს, ან ადამიანთა ერთობლიობას წარმოადგენს და მათთან **-ელ** მაწარმოებლის მისადაგება სავსებით მისაღებია, თუმცა ვხვდებით შემდეგი ტიპის ფორმებსაც:

„**ნოემბრის აქციების დროს, მთელი ქართული ინტელიგენცია იქ იდგა...**“ (ქურნ. „რეიტინგი“); „...**მაშინ ქართული ინტელიგენცია ორ ნაწილად გაიყო**“ (ქურნ. „თბილისელები“); „...**შეხვედრა ქართულმა დელეგაციამ** ლისაბონში ღრეობით აღნიშნა...“ (იქვე); „...**ქალაქ გოაში, ქეთევან დედოფლის ნაწილების მოსაპოვებლად ქართული დელეგაცია ერთი თვე იმყოფებოდა**“ (ქურნ. „სარკე“); „...**ქართული დელეგაცია ვიტებსკში ყველას შეუფვარდა**“ (იქვე); „**ქართული დელეგაციის** წითელ ხალიჩაზე გამოჩენასაც... ფურორი მოჰყვა“ (ქურნ. „გზა“); „...**მიმუშავია... სუამის საპარლამენტო ასამბლეების ქართული დელეგაციის წარმომადგენლად**“ (იქვე); „ – **ამ ბოლო დროს გააქტიურდა თურქული დელეგაციების ვიზიტები რეგიონში. ჯერ იყო 80-მდე ქურნალისტი, ახლა – ტუროპერატორების დელეგაცია**“ (იქვე)...

როგორც ზემოდასახელებული განმარტებებიდან ვიხილეთ, **ინტელიგენცია** თუ **დელეგაცია** ადამიანთა ჯგუფს, კონკრეტულ პირთა კრებულს წარმოადგენს. **აქციებში შეიძლება მხოლოდ ადამიანები მონაწილეობდნენ; ღრეობასა და დროსტარებას ისევე ადამიანები აწყობენ; წმინდანის ნაწილების მოსაპოვებლად კვლავ ადამიანები აქტიურობენ;** ბოლო მაგალითში კი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ჩანს, რომ **ჟურნალისტებიც ადამიანები არიან: თურქულ დელეგაციაში 80-მდე ჟურნალისტი იყო.** ამდენად, ამ სიტყვებთან არა-ადამიანთა მაწარმოებელი -**ულ** სუფიქსის მისადაგება გაუმართლებელი და დაუშვებელია.

აქ კი სრული გაუგებრობაა:

**ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელობამ მოლაპარაკება გამართა...**“

მოვიშველით ემიგრაციის განმარტება: **ემიგრაცია** 1. იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ემიგრირება). 2. უცხო ქვეყანაში ცხოვრება ასეთი გადასახლების შედეგად [ჭაბაშვილი 1986].

როგორც ვხედავთ, ემიგრაცია ისევეთივე მოქმედების აღმნიშვნელი სახელია, როგორებიცაა: დეგრადაცია, რელაქსაცია, რეალიზაცია, დისიმილაცია, მიგრაცია...

ამდენად – ეს სიტყვა (ემიგრაცია) უადგილოდაა ნახმარი. ავტორმა, უეჭველია, **ემიგრანტები** იგულისხმა და მაშინ უდავოდ უნდა ყოფილიყო **ქართველი**.

-**ურ** (დისიმილაციით -**ულ**) სართის გამოყენების მართებულ შემთხვევებს ხშირად ვხვდებით:

„ვემსახურები **ქართულ სახელმწიფოს** და ვიბრძოლებ მისი... ძლიერებისათვის“ (ჟურნ. „რეიტინგი“); „ჩრდილის აყენებენ **ქართულ დედაეკლესიას**...“ (ჟურნ. „სარკე“); *უამრავი საგაზეთო სტატია იყო ქართული ეკლესიის წინააღმდეგ...*“ (იქვე); „ბერლინის სასამართლო **ქართული მხარისაგან** ბრალის დამამტკიცებელ მასალებს ელოდება“ (იქვე); „**ქართული კულტურა** რუსეთის კოლონიური რეჟიმის პირობებში ვითარდებოდა“ (მ. ბერიძე, „საქართველოს ისტორია“); „...**ქართულ პოლიტიკაში** ქალს ვერ ხედავს“ (ჟურნ. „სარკე“); „როგორ გამოიყენებს ამას **ქართული** პოლიტიკური **სპექტრი**?...“ (იქვე); „...**ქართულ** პენიტენციალურ **სისტემაში** ნამყოფია 2003 წლიდან“ (ჟურნ. „გზა“); „რეალურად **ქართულ ესტრადაზე** ერთმანეთის კონკურენტე-



ბი ვართ“ (ჟურნ. „სარკე“); **„ქართული სამხარეულო** არ მენატრებოდა...“ (იქვე); **„...ყველაფერი იყიდება და შეგიძლია, ქართული კერძები მოამზადო“** (იქვე).

ბუნებრივია, სახელმწიფო, მხარე, კულტურა, პოლიტიკა, ეკლესია, სპექტრი, სამხარეულო, კერძები მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ **-ურ** (→ **-ულ**)-ით გაფორმებულ სახელს.

მსგავსი ვითარებაა სხვა მსაზღვრელთა გამოყენებისასაც:

**„...პრეზიდენტი... 2008 წლიდან უდგას სათავეში ამ ლათინურ-ამერიკულ სახელმწიფოს“** (ჟურნ. „თბილისელები“); **„...გვაქვს ჩვეულებრივი აფრიკულ-სამხრეთული ქვეყანა“** (ჟურნ. „სარკე“); **„სკანდალმა ... შეძრა ვიქტორიანული ინგლისის არმიის სამხედრო ხელმძღვანელობა...“** (ჟურნ. „თბილისელები“); **„ვიქტორიანული ეპოქა იგრძნობოდა...“** (ჟურნ. „სარკე“); **„...ვიქტორიანული შენობა ამშვენებდა...“** (ჟურნ. „რეიტინგი“); **„ვიქტორიანული პრესა იუწყებოდა...“** (იქვე); **„...კატალონიური კლუბის იმჟამინდელ თავკაცს... ხშირად აკრიტიკებდნენ...“** (ჟურნ. „რეიტინგი“); **„უმა [თურმანი] სამი სავსებით განსხვავებული – ამერიკული, ევროპული და ტიბეტური – კულტურის გზაჯვარედინზე გაიზარდა“** (გაზ. „TV პროგრამა“); **„როგორც ლათინო-ამერიკულ სერიალებში ხდება, მალე ჯერალდინამ შეიტყო...“** (ჟურნ. „სარკე“); **„... მაიამიში დავსახლდი, სადაც ლათინურ-ამერიკული სერიალების წარმოება ... ხორციელდება...“** (გაზ. „TV პროგრამა“); **„...დაიწყება ახალი ლათინოამერიკული სერიალი“** (ტელეკომპანია „იმედი“); **„...მისი სიმღერაც... აფრო-ამერიკული ფანკის სტილში იყო არანუირებული...“** (ჟურნ. „სარკე“); **„ამჟამად ყოფილი მოკრივე ლათინური ცეკვების შესწავლითაა გატაცებული.“** (იქვე); **„შემიძლია ვიმღერო ნეოპოლიტანური ვოკალიც...“** (იქვე); **„ზობოქარი სამხრეთული ტემპერამენტის მქონე... ლამაზმანი მუდმივად მერყეობს უკიდურესობებს შორის“** (გაზ. „TV პროგრამა“).

ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ სახელმწიფო, ქვეყანა, ინგლისი, ეპოქა, შენობა, პრესა, კლუბი, კულტურა, სერიალი, სტილი (ფანკისა), ცეკვა, ტემპერამენტი, არაადამიანთა სახელებს, რა ჯგუფს მიეკუთვნება და მართებულად არის გამოყენებული **-ულ** ბოლოსართი.

მაგრამ ყოვლად გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება **-ელ** და **-ურ** მაწარმოებლების დაუფიქრებლად გამოყენება და ერთმანეთის მაგივრად გაუმართლებელი ხმარება.

საინტერესოა, რომ მათი აღრევა ურთიერთშეუცვლადია და პრესაში ორივე სახითაა წარმოდგენილი:

1. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ადამიანთა წარმომავლობის, მიმდევრობის (ვინ ჯგუფის) საწარმოებლად უმართებულად არის გამოყენებული **-ურ** (დისიმილირებული სახით **-ულ**) სუფიქსი:

*„...ნოდარ ახალკაცი თურქეთში იყო წასული, საიდანაც „ტრაბზონ-სპორში“ მოთამაშე **ქართულ ფეხბურთელებზე** ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა“ (გაზ. „კაპიტალი“); „მრავალი **დასაგლეური მკვლევარი** თვლის...“ (ჟურნ. „სარკე“); „**ფრანგული კომპოზიტორი** თვლის...“ (იქვე).*

ყოველად გაუგებარია, რატომ არის მიჩნეული, რომ **ფეხბურთელი, მკვლევარი ან კომპოზიტორი** იყოს გრამატიკულად არაადამიანთა კლასის წარმომადგენელი? უნდა ყოფილიყო: **ქართველი ფეხბურთელები, დასაგლეელი მკვლევარი**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგს, ისვე როგორც ბერძენს, თურქს, ჩეხს, რუსს, მონღოლს... სადაურობის (მიმდევრობის) აღმნიშვნელი სართის დამატება არ სჭირდება. ერთდროულად ერთი ფორმით გამოხატავს ეროვნებასაც და წარმომავლობასაც: **ფრანგი კომპოზიტორი...**

მართალია, ა. შანიძე მიუთითებს, რომ „**-ურ (-ულ)** ზოგჯერ ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს ზოგ-ზოგ კილოში (კახურში, ფშაურში)“ [შანიძე 1973: 128], მაგრამ ეს დამახასიათებელია მხოლოდ ორიოდ დიალექტისათვის, და, მით უმეტეს, არა სალიტერატურო ქართულისათვის.

2. აქ კი არაადამიანთა წარმომავლობის სახელებს უმართებულად აწარმოებს **-ელ** სუფიქსი:

*„ჩანაწერი **არგენტინელი გემის** „ნავაროს“ სავაზტო ჟურნალიდანაა ამოღებული...“ (ჟურნ. „სარკე“); „**მან ქართველი ფეხბურთის** ნაკრების შესახებ ისეთი რაღაც დაწერა, რომ ვერ ვიტყვი“ (იქვე).*

როგორც ვხედავთ, მეორე შემთხვევაში საპირისპირო ვითარება გვაქვს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ქართულში **ვინ** ჯგუფს მხოლოდ ადამიანები მიეკუთვნებიან, ხოლო **რა** ჯგუფს – ყველა დანარჩენი (სულიერიც და უსულოც). შეუძლებელია **გემი** იყოს **არგენტინელი** ან **ფეხბურთი ქართველი**.

დაბოლოს, უნდა ვთქვათ, რომ, სამწუხაროდ, ჟურნალისტთა გარკვეული ნაწილი ამ ფორმანტებს შორის ან განსხვავებას ვერ ხედავს, ან შეგნებულად უგულებელყოფს ქართული ენის გრამატიკის ელემენტარულ წესებს.

უნდა ვიხმაროთ:

1. **ქართველი/ფრანგი/ამერიკელი/არგენტინელი/ესპანელი/დანიელი/თურქი...** – ხალხი/მოსახლეობა/საზოგადოება/ჯარი/ახალგაზრდობა/სტუდენტობა/მრევლი/ოჯახი/ინტელიგენცია/დელეგაცია/მოგზაური/მომღერალი/მსახიობი/ფეხბურთელი/პოლიტიკოსი

2. **ქართული/ფრანგული/ამერიკული/არგენტინული/ესპანური/დანიური/თურქული...** – სახელმწიფო/ეპოქა/შენობა/გემი/სტილი/მიმდინარეობა/ფეხბურთი/ტემპერამენტი/პრესა/ვოკალი/ფილმი/სერიალი...

## ლიტერატურა

**აბულაძე 1967** – ი. აბულაძე, ინვერსიული ლექსიკონი, თბილისი.

**ბერიძე, გურული 2005** – მ. ბერიძე, ვ. გურული, საქართველოს ისტორია, 9 კლ., თბილისი.

**გელოვანი 1990** – ა. გელოვანი, რწმენა, ღმერთები, ადამიანები; რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი.

**„თბილ.“** – ჟურნალი „თბილისელები“, №14, 2005; №12, 2008; №24, 2009; №45, 2009, თბილისი.

**„იდ. სამყ.“** – გაზეთი „იდუმალების სამყარო“, №18, 1998, თბილისი.

**„იმედი“** – ტელეკომპანია „იმედი“, 05.09.2008, თბილისი.

**„კაპიტ.“** – გაზეთი „კაპიტალი“, №28, 1997, თბილისი.

**„რეიტ.“** – ჟურნალი „რეიტინგი“, №11, 2008; №48, 2009; №10, 2010, თბილისი.

**„სარკე“** – ჟურნალი „სარკე“, №47, №49, 2007; №50, 2007; №4, №33, №44, №48, №52, 2008; №1, №4, №5, №8, №20, №30, №51, 2009; №29, №38, №42, 2009; №38, 2010, თბილისი.

**„TV პრ.“** – გაზეთი „TV პროგრამა“, №48, 2007; №4, 2009, თბილისი.

**ქეგლი 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, ერთტომეული.

**შალამბერიძე 1998** – გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბილისი.

**ჭაბაშვილი 1986** – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

## **Vakhtang Magradze**

### **On One Case of Formant Confusing**

#### S u m m a r y

The paper deals with the cases of confusing of **-el** and **-ur** suffixes denoting an origin at collective nouns. In Georgian the origin of animate collective nouns should be formed with **-el** suffix, of inanimate ones – with **-ur/ul** formant: Thus, kart**veli** ოცნებობა/საზოგადოება/ინტელიგენცია/დელეგაცია/მოსახლეობა „Georgian students/society/intelligence/delegation / population“... and not kart**uli** ოცნებობა/საზოგადოება/ინტელიგენცია/დელეგაცია/მოსახლეობა...